საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004302

„13" მაისი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საკუთრებიდან გამოთხოვილი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ. წითელაძის I ჯს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ჯობა ლესტრინგ ჯი" (ს/ნ 406281704)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
დაბადების თარიღი, პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის საიელფოდ ეა, იურიდიული მისამართი)
მინისტრის 2020 წლის №2-818 ბრძანებით გაცემული
გამოთხოვილი გადაუყვანილება; დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობა №004090; 05.11.2024

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004302
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N004302 ადმინისტრაციული მიწოდების დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 3 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის შესაბამისი ჯარიმის დაწესებისა

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მცავლი სახელმწიფო ინსპექტორი ნინო კოსტიერტ

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოსტიერტ

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 13 მარტის №004302 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

2025 წლის 20 მაისს, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა, ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფელში, შპს „გლობალ რესაიქლინგ კო"-ს (ს/კ 406281704) ნარჩენების აღდგენის (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) და ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 15 სექტემბრის №2-818 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული, დეპარტამენტის 2024 წლის 5 ნოემბრის №004090 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. დეპარტამენტის 2024 წლის 5 ნოემბრის №004090 ადმინისტრაციული **მიწერილობის პირველი პუნქტის** მოთხოვნის შესრულების მიზნით, შპს „გლობალ რესაიქლინგ კო"-ს სააგენტოში შესათანხმებლად არ წარუდგენია, **ნარჩენების აღდგენის მიზნით საწარმოში მისაღები არასახიფათო ნარჩენების დაზუსტებული ნუსხა** „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის შესაბამისად განსაზღვრული კოდებისა და დასახელებების მითითებით;

2. დეპარტამენტის 2024 წლის 5 ნოემბრის №004090 ადმინისტრაციული მიწერილობის **მეორე პუნქტის** მოთხოვნის შესრულების მიზნით, **ნარჩენების ინსინერაციის მიზნით,** შპს „გლობალ რესაიქლინგ კო"-ს სააგენტოში შესათანხმებლად არ წარუდგენია, **საწარმოში წარმოქმნილი დაზუსტებული ნარჩენების ნუსხა**, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით წარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის შესაბამისად განსაზღვრული კოდებისა და დასახელებების მითითებით;

3. დეპარტამენტის 2024 წლის 5 ნოემბრის №004090 ადმინისტრაციული მიწერილობის **მესამე პუნქტის** მოთხოვნის შესრულების მიზნით, შპს „გლობალ რესაიქლინგ კო"-ს სააგენტოში შესათანხმებლად არ წარუდგენია, ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარების/მოწყობილობების და ინსინერატორის დაზუსტებული მოდელი, საპასპორტო მონაცემები და ტექნიკური პარამეტრები.

გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 22 მაისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „გლობალ რესაიქლინგ კო"-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

2026 წლის 13 მარტის №004302 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

შესახებ №093848 ოქმი, რომელიც თანდართული მასალებით განსახილველად გადაეგზავნა ხობის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 24 ივლისის №4/108-2025 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გლობალ რესაიქლინგ კო“ -ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 13 მარტის №0040302 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 13 მარტის №004302 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „გლობალ რესაიქლინგ კო“-ს (ს/კ 406281704) ნარჩენების აღდგენის (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) და ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 15 სექტემბრის №2-818 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების გამოსასწორებლად შემუშავებული დეპარტამენტის 2024 წლის 5 ნოემბრის №004090 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „გლობალ რესაიქლინგ კო“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის** ვადაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს **ნარჩენების აღდგენის მიზნით საწარმოში მისაღები არასახიფათო ნარჩენების დაზუსტებული ნუსხა** „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის შესაბამისად განსაზღვრული კოდებისა და დასახელებების მითითებით (მინისტრის 2020 წლის 15 სექტემბრის №2-818 ბრძანების **მე-7 პუნქტი** და 2024 წლის 5 ნოემბრის №004090 ადმინისტრაციული მიწერილობის **პირველი პუნქტი);**

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის** ვადაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად **წარადგინოს** ნარჩენების ინსინერაციის მიზნით **საწარმოში წარმოქმნილი დაზუსტებული ნარჩენების ნუსხა,** „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის შესაბამისად განსაზღვრული კოდებისა და დასახელებების მითითებით (მინისტრის 2020 წლის 15 სექტემბრის №2-818 ბრძანების **მე-8 პუნქტი** და 2024 წლის 5 ნოემბრის №004090 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-2 პუნქტი);**

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის** ვადაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარების/მოწყობილობების და ინსინერატორის დაზუსტებული მოდელი, საპასპორტო მონაცემები და ტექნიკური პარამეტრები (მინისტრის 2020 წლის 15 სექტემბრის №2-818 ბრძანების **მე-9 პუნქტი** და 2024 წლის 5 ნოემბრის №004090 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-3 პუნქტი).**